გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 156

2023 წლის 8 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ აღდგომელაშვილს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ აღდგომელაშვილს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა №17 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3594.00კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.609) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვადა გაგრძელებულია 1 (ერთი) წლის ვადით.

2023 წლის 13 ივლისს და 21 აგვისტოს, გორის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ვლადიმერ აღდგომელაშვილმა და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება 2 (ორი) წლით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფერხება გამოწვეული იქნა მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებული პროცედურების გამო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის 2 (ორი) წლით გაგრძელების შემთხვევაში „მყიდველი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული პირობის შესრულების ვადა გაგრძელდეს 2 (ორი) წლით იმ პირობით, რომ 2 (ორი) წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია და აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ,,მყიდველის" მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი აუდიტორული დასკვნა აღნიშნულის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ აღდგომელაშვილს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3594 .00კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.609) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ აღდგომელაშვილს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3594.00 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.609) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე